# საჯარო სამართლის იურიდიული პირი
# ეროვნული სატყეო სააგენტო

KA010109732052718

**ეროვნული სატყეო სააგენტო გულუას ქ.№6, 0114, ქ. თბილისი, საქართველო. ტელ.:275-39-59**

**№ 06/18069** **11 / სექტემბერი / 2018 წ.**

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

ასლი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სსიპ-ეროვნულმა სატყეო სააგენტომ განიხილა თქვენი 08.08.2018წ. N5/44426 წერილი, სადაც დასმულია საკითხი „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს N240 დადგენილების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდელის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, საჩხერის მუნიციპალიტეტში მდებარე მიწის ნაკვეთების (ჯამში 302485 კვ.მ.) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის კორექტირების (ამორიცხვის) შესახებ.
წარმოდგენილ საკადასტრო აზომვით ნახაზებზე მითითითებული მიწის ნაკვეთები, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 04 აგვისტოს N299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, მდებარეობენ სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის ჭიათურა-საჩხერის სატყეო უბნის მოხვას სატყეოში, სადაც მერქნული რესურსი აღრიცხულია 7536,51 კბმ-ის მოცულობით.
გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს N240 დადგენილების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს ტყის ფონდის საზღვრის კორექტირება 302485 კვ.მ. მიწის ნაკვეთებით იმ აუცილებელი პირობით, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის $29^1$ მუხლის და "ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხულ ტერიტორიაზე განხორციელებული ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსი დაუკოტრავი სახით სახეობების მიხედვით დასაწყობდება სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.
აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს N240 დადგენილების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით ტყის ფონდის საზღვრების კორექტირება, ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე. ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობაზე უარყოფითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის ან საქმიანობის სხვა მიზეზით განუხორციელებლობის შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ვალდებულია, უზრუნველყოს ამორიცხული ფართობ(ებ)ის სახელმწიფო ტყის ფონდში ჩარიცხვა არაუგვიანეს აღნიშნული გარემოების დადგომიდან ერთი წლის განმავლობაში.
გთხოვთ, ტყის ფონდის საზღვრის კორექტირების განხორციელების შემთხვევაში მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია.

დანართი: წარმოდგენილი მასალები.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თორნიკე გვაზავა